საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაკიჯვრის განძი

ვაკიჯვრის განძი, ძვ. წ. XII –XI სს. ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩენილია 1936 სოფ. ვაკიჯვარში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), ადგილ ქორბუდეში. განძის შემადგენლობაში იყო დ. ქორიძისეული I სახეობის კოლხური ცული, დაზიანებული წალდი, ბრტყელი ცულის ნატეხი, სამი თოხი, სეგმენტისებური იარაღის ნატეხები; შუბისპირი, სატეხი (თუ ბრტყელი ცული), 24 ზოდი. 1960 სოფელში აღმოჩნდა ძვ. წ. II ათასწლ. დასასრ. – I ათასწლ. I ნახ. მშვილდსაკინძი, იგი ერთწილადია, მშვილდი შემკულია წიწვისებური ორნამენტით. მასალა ინახება ოზურგეთის ისტ. მუზეუმში.

ლიტ.: რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ა. რამიშვილი